საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 120 2023 წლის 22 მარტი ქ. თბილისი

„საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატის შესარჩევი კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 ივლისის №386 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატის შესარჩევი კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 ივლისის №386 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/07/2021, 300280000.10.003.022941) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. **მე - 4 მუხლის მე - 2 პუნქტის:**

ა) „ა“ - „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) განცხადება, რომელიც შეიცავს კომისიის წევრობის კანდიდატის Curriculum Vitae-ს (CV);

ბ) კომისიის წევრად არჩევის შესახებ თანხმობა;

გ) თანხმობა, შერჩევის პროცესში მონაწილე თანამდებობის პირების/ორგანოების მხრიდან მის შესახებ კომისიის წევრობის კანდიდატად შერჩევის მიზნებისათვის საჭირო ინფორმაციის/დოკუმენტის მოძიების/გადამოწმების თაობაზე; “;

ბ) „ე“ - „ზ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტის შემთხვევაში, ქართულ ენაზე ნათარგმნი და კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი;

ვ) არანაკლებ 10 წლის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ზ) ხელწერილი, რომ პირი გაეცნო საქართველოს კანონმდებლობით კომისიის წევრის მიმართ დადგენილ ეთიკის, დამოუკიდებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის პირობებს;“;

გ) „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტები:

„ი) მის მიერ წარდგენილი ან კომისიის წევრობის კანდიდატად შერჩევის მიზნისთვის მის შესახებ მოძიებული ინფორმაციის და დოკუმენტების გასაჯაროებაზე თანხმობა ან უარი;

კ) სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც ასახავს მის სამუშაო გამოცდილებას, პროფესიულ და მორალურ რეპუტაციასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.“.

2. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დოკუმენტები მიიღება კონკურსის გამოცხადებიდან 10 დღის ვადაში.“.

3. მე-6 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საბუთების მიღების დასრულებიდან 20 დღის ვადაში (კონკურსის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 30 დღისა) შესარჩევი კომისია უზრუნველყოფს კომისიის წევრობის კანდიდატის გამოვლენას და საქართველოს მთავრობისთვის წარმოდგენას.";

ბ) მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. შესარჩევი კომისია საკუთარი შემადგენლობიდან სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით ირჩევს თავმჯდომარეს.

4. შესარჩევი კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება კომისიის 3 წევრი მაინც.";

გ) მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილებები აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს შესარჩევი კომისიის თავმჯდომარე და სურვილის შემთხვევაში, შესარჩევი კომისიის სხვა წევრები.".

4. მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შესარჩევი კომისია კონკურსის შედეგად გამოვლენილ კანდიდატს ამ წესის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ვადაში წარმოუდგენს საქართველოს მთავრობას შესათანხმებლად.".

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ..... **ირაკლი ღარიბაშვილი**